



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

11 თებერვალი 2011 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 16

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“, „ს“ და მე-10¹ (პრიმა) მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად:

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ (პრიმა) მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ დაუყოვნებლივ განხორციელების აუცილებლობიდან გამომდინარე, განახორციელოს 2011 წლის თებერვლის თვეში საქონლის გამარტივებული შესყიდვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურისათვის 500 ლიტრი საავტომობილო საწვავის (ღირებულებით 1000 ლარი) შესაძენად.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

აღეკო მამეშვილი